საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1384 2016 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 6 ივლისის №5/34422 გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ანაკლიაში, განმუხურში მდებარე 605.36 მ სიგრძისა და 14.10 მ სიგანის ხიდის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.00.081), ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი